

თამარ გუჩუა

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი

me.tamuna@gmail.com

საკვანძო სიტყვები: „რიტუალი“, ტერმინოლოგიური ვარიაციები, პრესკრიპტული ანალიზი, დესკრიპტული ანალიზი, სოციოტერმინოლოგია.

რიტუალი და მისი ცნებით-ტერმინოლოგიური განზომილებები¹

სოციოტერმინოლოგია, რომელიც მე-20 საუკუნის 80-იან წლებში ჩამოყალიბდა, ერთეულთა დესკრიპტული ანალიზით შემოიფარგლება და ყურადღებას ამახვილებს ტერმინოლოგიურ ვარიაციებზე მათი სხვადასხვა კონტექსტში პოვნის გათვალისწინებით. ვარიაციის პარამეტრები სოციალურ და ეთნიკურ კრიტერიუმებზეა დამყარებული, რაც ხშირად ერთი და იმავე ტერმინის რამდენიმე განმარტების გაჩენას განაპირობებს. მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, სოციოტერმინოლოგია აღწერთი დისციპლინაა, რომელიც ტერმინებს მათი ინტერაქციული და დისკურსული განზომილებების მიხედვით წარმოგვიდგენს².

წინამდებარე ნაშრომის მიზანია, სოციოტერმინოლოგიურ ჩარჩოში წარმოვადგინოთ და განვიხილოთ „რიტუალი“ (1) როგორც ტერმინი და (2) როგორც ცნება; ამ ერთი ლექსიკური ერთეულის მაგალითზე დავინახოთ პრესკრიფციული და დესკრიფციული ანალიზების სხვადასხვაობა. საილუსტრაციო მასალად, სხვადასხვა დროისა და ენის ლექსიკონებისა თუ ენციკლოპედიების გარდა, გამოყენებულია ქართული ენის ეროვნული კორპუსიდან ამოკრებილი შესაბამისი კოლოკაციური მაგალითები.

¹ კვლევა [PHDF-21-091] განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით.

² ეს საკითხი პირველად და ვრცლად 1993 წელს ფრანსუა გოდენმა განიხილა, თუმცა, როგორც გოდენი სამართლიანად შენიშნავს, ტერმინი „სოციოტერმინოლოგია“ პირველად ჟან-კლოდ ბულანჟეს 1981-82 წლების შრომებში გამოჩნდა; მოგვიანებით პიერ ლერას მიერ 1983 წელს წაკითხულ მოხსენებაში; 1986 წელს კი ივ გამბიეს სტატიის სათაურში (გოდენი 2005: 81; გოდენი 1993: 293).

1.

ერთ-ერთი პირველი ლექსიკოგრაფიული ხასიათის გამოცემა, სადაც „რიტუალის“, როგორც ტერმინის, განმარტებაა მოცემული, „ენციკლოპედია ბრიტანიკა“. 1771 წელს ედინბურგში გამოცემულ „ენციკლოპედია ბრიტანიკის“ პირველ გამოცემაში „რიტუალი“ (ritual) „ჩვეულების“ (rite) შემდეგაა წარმოდგენილი. ერთი შეხედვით, ინგლისური ენის ანბანთრიგის გათვალისწინებით, აქ არაფერია განსაკუთრებული, რომ არა თავად ამ ორი ტერმინის ერთ კონტექსტში მოცემული განმარტება: *rite* განმარტებულია როგორც ღვთისმსახურების განსაკუთრებული ფორმა; ხოლო *ritual* – როგორც წიგნი, რომელშიც რელიგიური ცერემონიებისა და ღვთისმსახურების ჩატარების წესებია მოცემული (ენციკლოპედია ბრიტანიკა 1771: 553). ამავე ენციკლოპედიის მესამე გამოცემაში, 1797 წელს, აღნიშნულ განმარტებას დამატებული აქვს მცირედი ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ უძველეს წარმართებს სხვადასხვა რიტუალი ჰქონდათ, რომლებიც ქალაქის აშენებისას, ტაძრის კურთხევისას თუ მსხვერპლშეწირვის დროს უნდა შეესრულებინათ (ენციკლოპედია ბრიტანიკა 1797: 251). საინტერესოა, რომ ანალოგიური ჩანაწერები მეორდება ენციკლოპედიის მეშვიდე გამოცემამდე (1852 წ.), ხოლო ამის შემდგომ, რაოდენ უცნაურიც უნდა იყოს, მეთერთმეტე გამოცემამდე (1910 წ.) ენციკლოპედიაში „ჩვეულებისა“ და „რიტუალის“ შესახებ ჩანაწერები საერთოდ ქრება და მათ ნაცვლად არაფერი არ არის მოცემული.

„ენციკლოპედია ბრიტანიკის“ 1910 წლის მეთერთმეტე გამოცემაში „რიტუალის“ შესახებ ჩანაწერი კვლავ ბრუნდება და განმარტებას მთელი ხუთი სვეტი აქვს დათმობილი. დასაწყისშივე მითითებულია, რომ იგი მომდინარეობს ლათინური სიტყვისაგან *ritus* და „ჩვეულებას, განსაკუთრებით კი, რელიგიურ ჩვეულებას ნიშნავს, რომელიც შეიძლება განიმარტოს, როგორც თავყვანისცემის რუტინა“ (ენციკლოპედია ბრიტანიკა 1910: 370).

„ენციკლოპედია ბრიტანიკის“ მეთერთმეტე გამოცემამდე ადრე, 1882 წელს, ბრიტანელი ფილოლოგის უოლტერ უილიამ სკიტის რედაქციით გამოცემულ „ინგლისური ენის ეტიმოლოგიურ ლექსიკონში“ *rite* განმარტებულია, როგორც „რელიგიური ცერემონია“. აქვე მითითებულია, რომ სიტყვა მომდინარეობს ლათინური სიტყვისაგან *ritus* („რელიგიური ჩვეულებები“), შედარებისთვის კი ნახსენებია სანკრიტული *ṛi*, რომელიც ნიშნავს „წასვლას“, „გაქცევას“ (სკიტი 1882: 512). საინტერესოა, რომ ამავე ლექსიკონში „რიტუალი“, როგორც

ცალკე ლექსიკური ერთეული, წარმოდგენილი არ არის. *rite*-ის განმარტებისას ბოლოში არის მიწერილი, რომ „რიტუალი“ ლათინურ *ritualis* (ფუძე *ritus*) უკავშირდება.

ჩვეულებისა და რიტუალის საკმაოდ ვრცელ განმარტებებს ვხვდებით 1907 წელს გამოცემულ „კათოლიკურ ენციკლოპედიაში“. *rite* განმარტებულია, როგორც ლათინური *ritus*, რომელიც ნებისმიერი რელიგიური მსახურების ფორმასა და მანერას აღნიშნავს; ინგლისურში გულისხმობს ცერემონიებს, ლოცვებს და სხვადასხვა რელიგიური ორგანიზაციის წესებს, იქნება ეს წარმართული, ქრისტიანული, მუსლიმური თუ სხვა (კათოლიკური ენციკლოპედია 1907: 64). საინტერესოა, რომ ამავე „კათოლიკურ ენციკლოპედიაში“ „რიტუალი“ განმარტებულია როგორც რომანული ჩვეულებების ერთ-ერთი ოფიციალური წიგნი, ყველა იმ წესის მომცველი, რომლებსაც მღვდელი მსახურებისას შეასრულებს (კათოლიკური ენციკლოპედია 1907: 88)¹.

1921 წელს გამოცემული „თანამედროვე ინგლისური ენის ეტიმოლოგიური ლექსიკონი“ „რიტუალს“ მხოლოდ ასე განმარტავს: *რიტუალი. იხილეთ „ჩვეულება“* (*‘ritual. See rite’*). რაც შეეხება „ჩვეულებას“, იგივე ლექსიკონი მას ლათ. *ritus*-ს უკავშირებს და შენიშნავს, რომ სიტყვამ ახალი შინაარსი 1850 წელს, ოქსფორდის მოძრაობის² შედეგად შეიძინა (უიკლი 1921: 1241).

სხვა სალექსიკონო წყაროებისგან განსხვავებით, 1958 წელს ბრიტანელი ლექსიკოგრაფის ერიკ პარტრიჯის მიერ შედგენილი „თანამედროვე ინგლისური ენის ეტიმოლოგიური ლექსიკონი“ გამოირჩევა იმით, რომ *rite* (ჩვეულება) განმარტებულია როგორც *ritual* (რიტუალი). ლექსიკონი იქვე გვთავაზობს მცირე ეტიმოლოგიურ მიმოხილვასაც: „რიტუალი“ – რელიგიური ჩვეულება, მომდინარეობს ლათინური *rituālis*-გან (ზედსართავი სახელისთვის ამოსავალი ფორმაა

¹ „რიტუალის“, როგორც ლიტურგიკული წიგნის, კონცეფცია გაცილებით ძველია. მსგავსი შინაარსის წიგნები მანამდეც არსებობდა. მაგალითად, 1537 წელი: ალბერტ კასტელანის წიგნი; 1579 წელი: გრანჩესკო სამარინოს წიგნი; 1586 წელი: კარდინალ ჯულიო ანტონიო სანტორიოს „ჩვეულებათა გზამკვლევი მღვდლებისთვის“; 1614 წელი: პავლე V-ის „ოფიციალური რიტუალის“ პირველი გამოცემა სამოციქულო საყდრის (*‘Apostolicæ Sedis’*) წესდებით და სხვ.

² ოქსფორდის მოძრაობა (The Oxford Movement) მე-19 საუკუნის 30-იან წლებში აქტიურდება. ოქსფორდის უნივერსიტეტთან დაკავშირებული მაღალი წოდების სასულიერო პირები ცდილობდნენ ძველი ქრისტიანული ტრადიციების აღდგენასა და მათ ანგლიკანურ ლიტურგიაში ჩართვას.

ritus, სადაც *-ūs* ნათესაობითი ბრუნვის ნიშანია); აქედან მომდინარეობს ინგლისური *rite*. ფუძე *ritu-*, ძირი *rit*, ინდოევროპული ძირი **rit-*, სავარაუდოდ **rī-* ს („რიცხვი“, „წესრიგი“) გაფართოების შედეგად. შდრ. ბერძნული *nēritos* („ურიცხვი“) და *arithmos* („რიცხვი“); ძველი-გლისური, ძველგერმანული, ძველსკანდინავიური, ძველირლანდიური *rūn* („რიცხვი“, „გამოთვლა“) (პარტრიჯი 1958: 566). პარტრიჯის ზემოხსენებულ ლექსიკონში „რიტუალი“, როგორც დამოუკიდებელი ლექსემა, წარმოდგენილი არ არის.

როგორც ვხედავთ, „რიტუალის“ თავდაპირველი და უძველესი განმარტებები ძალიან ჰგავს ერთმანეთს. წყაროებში, ძირითადად, სიტყვის რელიგიურ მნიშვნელობას გულისხმობენ და სიტყვის ლათინურ წარმომავლობაზე მიუთითებენ. ამ მხრივ შედარებით გამორჩეულია ჩვენ მიერ ზემოხსენებული, 1882 წელს სკიტის მიერ შედგენილი „ინგლისური ენის ეტიმოლოგიური ლექსიკონი“, რომელშიც პირველად დაისვა „რიტუალის“ სანსკრიტიდან მომდინარეობის საკითხი. სპეციალური ლიტერატურის თანახმად, ლათინური *ritus* („ჩვეულება“) წარმომავლობით სწორედ რომ სანსკრიტულ სიტყვას *ṛtá* („სამყაროს წესრიგი“) უკავშირდება.

მონიე-უილიამსის მიერ 1899 წელს შედგენილ სანსკრიტულ-ინგლისურ ლექსიკონში *ṛta* განმარტებულია, როგორც „სათანადო“, „სწორი“, „მორგებული“. უფრო კონკრეტულად, წმინდა ქმედება ან ჩვეულება, ღვთაებრივი კანონი, რწმენა, ღვთაებრივი ჭეშმარიტება (მონიე-უილიამსი 1899: 223).

ṛtá და მისი მნიშვნელობა ვრცლად აქვს განხილული სანსკრიტის სპეციალისტს მორის ბლუმფილდს 1908 წელს გამოქვეყნებულ ლექციების კრებულში, „ვედების რელიგია“ (The Religion of the Veda). ბლუმფილდი პირველივე ლექციაში სახელწოდებით „ინდოეთი – რელიგიების მიწა“ დასავლეთ აზიის შესახებ უძველეს წერილობით წყაროებში დაცულ ცნობებზე ამახვილებს ყურადღებას, ახსენებს მითანს, ჩრდილოეთ შუამდინარეთში ხურიტების პოლიტიკურ გაერთიანებას, და სამეფო ოჯახის წევრების საკუთარ სახელებზე საუბრისას შენიშნავს, რომ სახელები „არტაშუვარა“ (Artashuvāra) და „არტატამა“ (Artatama) წმინდა ირანული სახელებია და დაახლოებით ძვ.წ. 1600 წლით თარიღდება. ორივე სახელი იწყება მარცვლით „არტა“ (Arta), რომელიც კარგად ნაცნობია ირანულ საკუთარ სახელებში (მაგ., Artaxerxes, Artaphernes). ბლუმფილდის შენიშვნით, აქემენიდურ წარწერებში პოვნიერი *arta* იგივეა, რაც ავესტას *aša* და ვედების *ṛtá*. მისი

მნიშვნელობა ითარგმნება, როგორც „კოსმიური წესრიგი“ ან „სამყაროს წესრიგი“ და წარმოადგენს რიგვედას ყველაზე მნიშვნელოვან რელიგიურ კონცეფციას (ბლუმფილდი 1908: 11-13).

ვედურ *ṛtá*-ს ავესტას *aša*-სთან აკავშირებს „ენციკლოპედია ირანიკის“ 1987 წლის გამოცემა. განმარტებაში მითითებულია, რომ ავესტას *aša* იმავე მნიშვნელობის სიტყვაა, როგორც ინდო-ირანული **rtá* (ძველ სპარსულში დამოწმებული როგორც *arta* და ძველ ინდურში – როგორც *ṛtá*); მომდინარეობს სტყვისაგან *hṛtás* (ჭეშმარიტება) (ენციკლოპედია ირანიკა 1987: 694-696).

ძველინდურ ჰიმნოგრაფიაში სანსკრიტული სიტყვის *ṛtá* მნიშვნელობაზე ვრცლად საუბრობს ბარბარა ჰოლდრიჯი და შენიშნავს, რომ *ṛtá* არის კოსმიური წესრიგის პრინციპი, რომელიც ადამიანთა მორალურ ქცევას არეგულირებს და მსხვერპლშეწირვის რიტუალებში პოვებს გამოხატულებას (ჰოლდრიჯი 2004: 215).

ამრიგად, როგორც ვხედავთ, „რიტუალის“, როგორც ტერმინის, ფესვების ძიებას ძველინდურ ჰიმნოგრაფიასთან მივყავართ. სხვადასხვა ეტიმოლოგიური ლექსიკონისა და ენციკლოპედიის თანახმად, ტერმინის წარმომავლობა ასეთია: პროტოინდოირანული *hṛtás* („ჭეშმარიტება“) -> სანსკრიტული *ṛtá* („სამყაროს წესრიგი“) -> ლათინური *ritus* („ჩვეულება“). სპეციალურ ლიტერატურაში შენიშნულია, რომ აღნიშნული ტერმინი რიგვედას ყველაზე მნიშვნელოვან რელიგიურ კონცეფციას წარმოადგენს და მისი ისტორია ძვ.წ. 1600 წლიდან იწყება. ამ ფაქტით უნდა აიხსნას ის გარემოებაც, რომ განმარტებებში მას პრესკრიპტულად ცალსახად რელიგიური შინაარსი მიეწერება. ამ მხრივ გამონაკლისს არც ქართულენოვანი ლექსიკონები წარმოადგენს. მაგალითად, „რიტუალი“ ქართული ენის განმარტებით და უცხო სიტყვათა ლექსიკონებში მოცემულია შემდეგი სახით: 1. სარწმუნოებრივი ხასიათის წეს-ჩვეულებები და 2. იგივეა, რაც ცერემონიალი (ჩიქობავა 1960: 439); სარწმუნოებრივი ხასიათის წეს-ჩვეულებათა ერთობლიობა (ჭაბაშვილი 1989: 441). დასახელებული ლექსიკონებისგან განსხვავებით, რიტუალს სოციოლოგიის საგნად წარმოგვიდგენს განმარტებითი ლექსიკონი-ცნობარი სოციალურ მეცნიერებებში: „რიტუალი – ცერემონიული ხასიათის მოქმედებათა სტანდარტული და მყარი თანმიმდევრობა“ (სურმანიძე 2016). უნდა აღინიშნოს, რომ მოცემული ტერმინის რელიგიური შინაარსი შეიცვალა სოციალურით, რასიც წინ უძღოდა ხანგრძლივი მოსამზადებელი პერიოდი, რაზეც ქვევით ვისაუბრებთ.

2.

„რიტუალის“, როგორც ცნების, ისტორია თავდაპირველად მისი ტერმინოლოგიური გაგების კვალდაკვალ განვითარდა: იგი განიხილებოდა არადასავლური კულტურებისათვის დამახასიათებელ საკვანძო კატეგორიად და მხოლოდ რელიგიური და მაგიური პროცედურების განხილვით შემოიფარგლებოდა. მე-20 საუკუნის დასაწყისში ემილ დიურკემის სოციოლოგიურ კონცეფციაში მომწიფდა იდეა სეკულარული რიტუალების შესახებ. 1912 წელს გამოქვეყნებულ კვლევაში რელიგიური ცხოვრების ელემენტარული ფორმების შესახებ (*Les formes élémentaires de la vie Religieuse*) თანდათანობითი მსჯელობით დიურკემი მიდის იმ დასკვნამდე, რომ დროთა განმავლობაში ძველი რიტუალები იცვლება ახლით, ძველი ფასეულობები აღარ არის ადამიანებისთვის აქტუალური; არ არსებობს პრინციპული სხვაობა ქრისტიანული შობის აღნიშვნას, ეგვიპტიდან გამოსვლის აღსანიშნად ებრაელების ზეიმს ან რომელიმე ახალი ქარტიისადმი მიძღვნილ სამოქალაქო მიტინგს შორის (დიურკემი 1915: 428). ფაქტობრივად, დიურკემის სოციოლოგიურ კონცეფციაში მომწიფდა აზრი იმის შესახებ, რომ სეკულარული რიტუალები აღარ განსხვავდება რელიგიურისგან.

მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში კანადელი წარმოშობის ამერიკელმა სოციოლოგმა ირვინგ გოფმანმა „სოციალური დრამატურგიის“ კონცეფცია განავითარა და პარალელები გაავლო თეატრალურ წარმოდგენებსა და ადამიანთა ყოველდღიურ ინტერაქციებს შორის. 1953 წელს იგი იცავს სადოქტორო დისერტაციას თემაზე „საკომუნიკაციო ქცევა კუნძულოვან თემში“, რომლის საფუძველზეც ოდნავ მოგვიანებით, 1956 წელს, აქვეყნებს თავის პირველ წიგნს სახელწოდებით „თვითპრეზენტაცია ყოველდღიურ ცხოვრებაში“. გოფმანის შენიშვნით, საზოგადოებაში არსებობს ინდივიდებისადმი გარკვეული მოლოდინები იმის თაობაზე, ამა თუ იმ სიტუაციაში ვინ როგორ მოიქცევა. აქედან გამომდინარე, ყოველ ნაბიჯზე ვაწყდებით სასცენო ხელოვნების ერთგვარ მაგალითებს (გოფმანი 1956: 8-9). მის 1967 წელს გამოქვეყნებულ მეორე წიგნში „ურთიერთქმედების რიტუალი“, რომელიც 1955-1964 წლებში გამოცემულ ხუთ სამეცნიერო პუბლიკაციას აერთიანებს, რიტუალი, როგორც მეტაფორა, ისეა წარმოდგენილი და ავტორი მას „შემთხვევათა სოციოლოგიად“ მოიხსენიებს (გოფმანი 1967: 2). წიგნში გოფმანი ავითარებს იდეას ადამიანთა ყოველდღიური ურთიერთქმედებების რიტუალურობის შესახებ და შენიშნავს,

რომ, ვცხოვრობთ რა სოციალური ინტერაქციის პირობებში, ყოველი კომუნიკაციის ბოლოს აღმოვაჩენთ, რომ, ნებისთი თუ უნებლიეთ, წინასწარგანსაზღვრული წესების მიხედვით ვიქცეოდით (გოფმანი 1967: 5).

ჯერ კიდევ სტრუქტურალისტური ტრადიციის ფარგლებში, 1957 წელს, ერთ-ერთი პირველი ავტორი, რომელმაც განიხილა რიტუალი, როგორც სემიოლოგიური სისტემის ელემენტი, გახლდათ როლან ბარტი. ბარტის თანახმად, რიტუალი კომუნიკაციის ის განსაკუთრებული შემთხვევაა, სადაც ნიშანთა ფიქსირებულ მიმდევრობათა ჯაჭვი მთლიანობაში წარმოადგენს აღმნიშვნელს და, ამასთან, ინფორმაციის შეტყობინებასთან ერთად მთქმელის განზრახვასაც გულისხმობს, მიმართულია კონკრეტული პირისკენ (ბარტი 1972: 110-112).

რიტუალს სოციოლოგიური პოზიციიდან განიხილავს რობერტ ბოკოკი 1974 წელს გამოცემულ წიგნში „რიტუალი ინდუსტრიულ საზოგადოებაში“. ავტორი შენიშნავს, რომ დასავლური სამყაროსთვის რიტუალის წარმოდგენა მხოლოდ რელიგიურ კონტექსტში არაადეკვატურია, ვინაიდან ტერმინი აერთიანებს როგორც რელიგიურ, ასევე საერო ხასიათის ქმედებებს. რიტუალით გამსჭვალულია ჩვენი სოციალური ცხოვრების თითქმის ყველა ასპექტი და მას ინდუსტრიულ საზოგადოებაში ბევრად ფართო მნიშვნელობა აქვს. თუკი „რიტუალად“ ჩავთვლით ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების ისეთ განმეორებად ქმედებებს, როგორებიცაა კბილების გამოხეხვა, მანქანით მგზავრობა, სტუმრების მიღება, ჩაის ან ყავის სმა, ტელევიზორის ყურება, მუსიკის მოსმენა, ნათესავების მონახულება და ა.შ. უსასრულოდ, მაშინ გამოდის, რომ რიტუალის სახით გვაქვს კატეგორია, რომელიც თითქმის ყველა იმ ქმედებას აერთიანებს, რომლებიც მეტ-ნაკლებად სტანდარტიზებულია (ბოკოკი 1974: 15).

1974 წელს ანთროპოლოგიური კვლევების ამერიკული ფონდის (Wenner-Gren Foundation for Anthropological Research) ორგანიზებით გაიმართა საერთაშორისო ფორუმი სახელწოდებით *‘Secular Rituals Considered: Prolegomena Toward a Theory of Ritual, Ceremony and Formality’*, სადაც რიტუალთან დაკავშირებით ახალი განმარტება გამოიკვეთა. ფორუმზე წაკითხულ მოხსენებათა 1977 წელს გამოქვეყნებული კრებულის გაცნობა (მური & მაიერჰოფი 1977) საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ მე-20 საუკუნის 70-იანი წლებისთვის ტერმინ „რი-

ტუალს“ აღარ აქვს მაგიურ-რელიგიური- მნიშვნელობა და მისი ინდივიდუალურ ენობრივ პრაქტიკაზე დაყრდნობით შესწავლა იწყება.

სამეცნიერო ლიტერატურასა და ზეპირ მეტყველებაში „რიტუალის“ სინონიმურ ტერმინებად ხშირად დასტურდება „წეს-ჩვეულება“ და „ცერემონია“. მკვეთრად არაა გამიჯნული აღნიშნული ტერმინების საფუძვლად არსებული ცნებები, არ არსებობს რიტუალის, როგორც ანალიტიკური კატეგორიის სახეობათა თანამიმდევრული ტაქსონომია (გრაიმსი 2000: 259-260). ტერმინოლოგიური ბუნდოვანებისგან თავის დასაღწევად მივმართეთ ქართული ენის განმარტებით ლექსიკონს, თუმცა უშედეგოდ. ლექსიკონის თანახმად, „ცერემონია“ (ლათ. caerimonia მოკრძალება, მოწიწება) განმარტება როგორც 1. ოფიციალური ზეიმი (მნიშვნ. 1) განსაზღვრული წესითა და რიგით და 2. (საუბ.) გადაჭარბებული თავაზიანობა (ჩიქობავა 1964: 596). „ჩვეულება“ განმარტება, როგორც 1. ამა თუ იმ წრეში (ან მთელ საზოგადოებაში) დამკვიდრებული წესი ქცევა-მოქმედებისა; 2. დროთა განმავლობაში შემუშავებული საქციელი, შეძენილი ყოფაქცევა და 3. რთული ფუძის მეორე შემადგენელი ნაწილი: ზნე-ჩვეულება, წეს-ჩვეულება (ჩიქობავა 1964: 499). „წეს-ჩვეულება“ კი განმარტებულია, როგორც რელიგიით ან ტრადიციით დაწესებული მოქმედება (ჩიქობავა 1964: 1064). ის, რაც სამივე ტერმინს აერთიანებს, რეგულარულობა და განმეორებადი ხასიათია. ამასთან, ყველა ეს შემთხვევა მიემართება კიდევ ერთ ტერმინს – „ტრადიციას“ და მცირე გადახვევამაც კი, იქნება ეს ფიზიკურ მოქმედებათა თუ სიტყვა-ფორმულათა რიგითობის დარღვევა, შესაძლოა მთელი პროცედურა არაეფექტური გახადოს. არსებითი განსხვავება მათ შორის ისაა, რომ ფორმალურობის ხარისხი წეს-ჩვეულებასა და ცერემონიაში გაცილებით მაღალია, ვიდრე რიტუალში; შესაძლოა, ორივე შემთხვევა ერთდროულად რიტუალსაც წარმოადგენდეს, მაგრამ ყველა რიტუალი ნამდვილად ვერ იქნება წეს-ჩვეულება ან ცერემონია. აღნიშნულთან დაკავშირებით ჩვენს შეხედულებას კიდევ უფრო ამყარებენ ბრაუნი და ლევინსონი, რომლებიც ტერმინოლოგიურ დონეზეც ერთმანეთისაგან განასხვავებენ ინტერპერსონალურ რიტუალებს და ინსტიტუციონიზებულ წეს-ჩვეულებებს (*Interpersonal Ritual and Institutionalized Rites*) (ბრაუნი & ლევინსონი 1987: 45).

საინტერესოა „რიტუალის“ კოლოკაციების საკითხიც. ქართული ენის ეროვნული კორპუსის მიხედვით, ყველაზე ხშირად ტერმინი დასტურდება შემდეგ კოლოკაციებში: „განწმენდის რიტუალი“, „ნათლობის რიტუალი“, „ფეხთბანის რიტუალი“ და სხვ. ამასთან, პოვნი-

ერია „მიღება-დახვედრის რიტუალი“, „მოკითხვა-მონახულების რიტუალი“ და ა.შ. (ქართული ენის ეროვნული კორპუსი 2011-2022). გამოყენების სიხშირით, ტერმინი უმეტესად რელიგიური შინაარსით გვხვდება, რაც, ვფიქრობთ, კორპუსში დამოწმებული წყაროების სპეციფიკით აიხსნება. კოლოკაციები გადავამოწმეთ ლაიფციგის კორპუსების კოლექციაშიც, რომელიც ათასამდე კორპუსზე დაფუძნებულ სხვადასხვა ერთეოვან ლექსიკონს აერთიანებს და მათ შორისაა ქართულიც. განსხვავებული სურათი არც აქ გვაქვს. ყველაზე ხშირად პოვნირი შემთხვევებია: „რელიგიური რიტუალი“, „წყალკურთხევის რიტუალი“, „ტრადიციული რიტუალი“, „მსხვერპლშეწირვის რიტუალი“ და სხვ. (ლაიფციგის კორპუსების კოლექცია 1998-2022). რადიკალურად განსხვავებული სურათი გვაქვს ბოლო წლების საინფორმაციო ხასიათის ინტერნეტგამოცემებსა და სოციალურ ქსელში. გვხვდება შემდეგი კოლოკაციური შემთხვევები: „დილის რიტუალი“, „ყავის დალევის რიტუალი“, „თავის მოვლის რიტუალი“¹ და ა.შ.

ამრიგად, თუკი რიტუალს სოციოტერმინოლოგიურ ჩარჩოში განვიხილავთ, აღმოჩნდება, რომ ტერმინის თარგმანი (ლათ. *ritualis* – სარწმუნოებრივი ხასიათის წეს-ჩვეულებები) სრულად ვერ გვიჩვენებს იმ შინაარსს, რომელიც მასში იგულისხმება. რიტუალი აღარ არის ლიმიტირებული რელიგიურობით და სეკულარულ შინაარსსაც გულისხმობს, რასაც სოციალური სფეროს სხვადასხვა კონტექსტში მისი პოვნირება ადასტურებს.

¹ უნდა აღინიშნოს, რომ ამ ტიპის სიტყვა-ფორმულებში „რიტუალის“ სინონიმურ ტერმინად გვხვდება „რუტინაც“. მაგალითად, „დილის რუტინა“, „თავის მოვლის რუტინა“ და ა.შ. კომუნიკაციის ეთნოგრაფიის ჩარჩოში რუტინას რიტუალის შემადგენელ ნაწილად განიხილავენ (სავილ-ტროიკი 2003: 35). საინტერესოა ტერმინის საკითხიც. ეტიმოლოგიურად ინგლ. *routine* ფრანგ. *route* (გზა) სიტყვას უკავშირდება (სადაც *-ine* ზედსართავის მაწარმოებელი სუფიქსია) და დადგენილი პროცედურის რეგულარულ კურსს ან მის მექანიკურ შესრულებას ნიშნავს. ქართული ლექსიკონების მიხედვით, რუტინა „დაწესებული შაბლონის მონური მორჩილება, მოძველებული, დრომოჭმული წესებისა და ჩვეულებების წინაშე ქედის მოხრა, ჩამორჩენილობა, კონსერვატიულობა (ჩიქობავა 1960: 466), „შიში სიახლის, ცვლილებების წინაშე; უძრაობა, ჩამორჩენილობა, შაბლონი“ (ჭაბაშვილი 1989: 445). როგორც ვხედავთ, ქართულ ლექსიკონში მოცემული განმარტება ცდება მოცემული ტერმინის შინაარსს.

ლიტერატურა

ბარტი 1972 – Barthes, R. *Mythologies*. New York: Noonday Press (Translated from the French *Mythologies* (c) 1957 by Editions du Seuil, Paris).

ბლუმფილდი 1908 – Bloomfield, M. *The religion of the Veda*. New York: G. P. Putnam's sons.

ბოკოკი 1974 – Bocock, R. *Ritual in Industrial Society: a sociological analysis of ritualism in modern England*. London: George Allen & Unwin.

ბრაუნი & ლევინსონი 1987 – Brown, P. & Levinson, S. *Politeness: Some Universals in Language Usage*. Cambridge: Cambridge University Press.

გოდენი 2005 – Gaudin, F. La socioterminologie. *Langages*, #157, pp. 80-92.

გოდენი 1993 – Gaudin, F. Socioterminologie: du signe au sens, construction d'un champ. *Meta*, Vol. 38, #2, 293-301.

გოფმანი 1967 – Goffman, E. *Interaction Ritual. Essays in Face-to-Face Behavior*. New York: Pantheon Books.

გოფმანი 1956 – Goffman, E. *The presentation of self in everyday life*. Social Sciences Research Centre, Monograph No. 2.

გრაიმზი 2000 – Grimes, R. L. *Ritual. Guide to the Study of Religion*, Ed by Braun, W. & McCutcheon, R., T. London and New York: Cassell, pp. 259-270.

დიურკეიმი 1915 – Durkheim, E. *The Elementary Forms of the Religious Life*. Eng. trans., Joseph Ward Swain. London: George Allen & Unwin Ltd.

მური & მაიერჰოფი 1977 – Moore, S. F. & Myerhoff, B. G. *Secural Ritual*. Assen: Van Gorcum.

სავილ-ტროიკი 2003 – Saville-Troike, M. *The Ethnography of Communication: An Introduction*. Oxford: Blackwell Publishing, 2003.

ჰოლდრეჯი 2004 – Holdrege, Barbara A. (2004), "Dharma", in Mittal, S.; Thursby, G. (eds.), *The Hindu World*, New York: Routledge, pp. 213-248.

ლექსიკონები

ენციკლოპედია ბრიტანიკა 1910 – *The Encyclopaedia Britannica: or, a dictionary of arts, sciences, literature and general information*. By Chisholm Hugh, eleventh Edition, vol. XXIII.

ენციკლოპედია ბრიტანიკა 1797 – *The Encyclopaedia Britannica: or, a Dictionary of Arts, Sciences and Miscellaneous Literature*. By National Library of Scotland, third edition, vol. XVI.

ენციკლოპედია ბრიტანიკა 1771 – *Encyclopaedia Britannica: or, a Dictionary Of Arts and Sciences compiled upon a new Plan*. By National Library of Scotland, first Edition, vol III.

ენციკლოპედია ირანიკა 1987 – *Encyclopædia Iranica*. By B. Schlerath, P. O. Skjærvø, vol. II, Fasc. 7.

კათოლიკური ენციკლოპედია 1907 – *The Catholic encyclopedia; an international work of reference on the constitution, doctrine, discipline, and history of the Catholic Church*. By Charles George Herbermann, Edward A. Pace, Condé Benoist Pallen, Thomas J. Shahan, and John J. Wynne ed. (1913), Vol 13. New York: The Encyclopedia Press.

მონიე-უილიამსი 1899 – *A Sanskrit-English dictionary*. By Monier-Williams (1819-1899). Oxford Clarendon Press, 1960 edition.

პარტრიჯი 1958 – *Origins: A Short Etymological Dictionary of Modern English*. By Eric Partridge. New York: The Macmillan Company.

სკიტი 1882 – *An Etymological Dictionary of the English Language*. By Walter William Skeat. Oxford: Printed at the Clarendon Press for Macmillan and Co.

უიკლი 1921 – *An etymological dictionary of modern English*. By Weekley, E. London: J. Murray.

ჩიქობავა 1964 – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. არნოლდ ჩიქობავას რედაქციით. ტ. VIII. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.

ჩიქობავა 1960 – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. არნოლდ ჩიქობავას რედაქციით, ტ. VI. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.

ჭაბაშვილი 1989 – ჭაბაშვილი, მ. უცხო სიტყვათა ლექსიკონი. თბილისი: „განათლება“.

ინტერნეტწყაროები

ლაიფციგის კორპუსების კოლექცია 1998-2022 – https://corpora.uni-leipzig.de/en/res?corpusId=kat_mixed_2017&word=%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%A3%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98

სურმანიძე 2016 – ელექტრონული ლექსიკონი-ცნობარი სოციალურ მეცნიერებებში. თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი. <http://dictionary.css.ge/content/ritual>

ქართული ენის ეროვნული კორპუსი 2011-2022 – <http://gnc.gov.ge/gnc/page?page-id=gnc-main-page>

Tamar Guchua

Akaki Tsereteli State University, Georgia

me.tamuna@gmail.com

Keywords: ‘Ritual’, Terminological Variation, Prescriptive Analysis, Descriptive Analysis, Socioterminology.

A Ritual and Its Conceptual and Terminological Dimensions¹

Summary

Socio-terminology, which was formed in the 80s of the 20th century, is limited to the descriptive analysis of lexical units and focuses on terminological variations taking into consideration their occurrence in different contexts. Variation parameters are based on social and ethnic criteria, which often results in several definitions for the same term.

With regard to the aforementioned method, the paper discusses *ritual* (1) as a term and (2) as a concept.

(1) The search for the origin of the term *ritual* leads to an ancient

¹ This work [PHDF-21-091] was supported by the Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG).

Hindu hymnography. In accordance with the various etymological dictionaries and encyclopedias, the origin of the term is as follows: Proto-Indo-Iranian *h₁tás* ("truth") → Sanskrit *ṛtá* ("cosmic order") → Latin *ritus* ("rite "). It is highlighted in the special literature that this term is the most crucial religious concept of the Rig Veda and its history dates back to 1,600 BC. Based on this also can be explained the other fact that in the definitions, religious content is ascribed to it in a prescriptive approach (Encyclopaedia Britannica 1771-1910; Catholic Encyclopedia 1907; An etymological dictionary of modern English 1921, 2006; The Explanatory Dictionary of the Georgian Language 1960; Dictionary of foreign words 1989, etc.).

(2) The history of *ritual* as a concept was initially developed immediately after its terminological understanding: it was considered a leading category characteristic of non-Western cultures and was limited only to the discussion of religious and magical procedures. At the beginning of the 20th century, the idea of secular rituals matured in Emile Durkheim's sociological concept, which in the 60s of the 20th century Irving Goffman turned into a matter of "social dramaturgy". In the tradition of structuralism, the ritual is introduced as an element of the semiological system; A ritual is all speech events that are more or less standardized (for example, greeting and farewell rituals, etc.).

The paper is aimed to present *ritual* in the framework of socio-terminology and to display the difference between the prescriptive and the descriptive analyses on the example of this one lexical unit. As illustrative material, along with the dictionaries or encyclopedias of different periods and in various languages, relevant collocational examples gathered from the National Corpus of the Georgian language will be used.